

„თეოლოგიის განვითარებას უწყობს წმინდა სახლის ყოველგვარი საქმიანობა. სადა უნდა დაიწყოს, იგი ყოველგვარ სიწმიდას... ყოველ სასწავლო წელს, ნებისმიერ შემთხვევაში თუ სხვა შემთხვევაში, ნებისმიერ შემთხვევაში ანდა დაიწყოს, ნებისმიერ შემთხვევაში დაიწყოს, ნებისმიერ შემთხვევაში ანდა დაიწყოს, ნებისმიერ შემთხვევაში ანდა დაიწყოს...“

სობის მოამბე

№ 1 (7043-44)
26 იანვარი, ოთხშაბათი
2011 წელი შპს 50 თეთრი

„მთავარი არ არის, სად ვიქნები მე, არამედ მთავარია, სად იქნება ჩემი ქვეყანა“

პრეზიდენტის დიალოგი ხალხთან



„პირველი საინფორმაციო კავკასიური“ არხის განახლებული მაუწყებლობის ნახვა თანამგზავრული ანტენით მთელ კავკასიაში, ევროპასა და ახლო აღმოსავლეთში შეუძლიათ. ამ მასშტაბის აუდიტორია ჰყავდა საქართველოს პრეზიდენტს, რომელიც ტელე-არხის პირველ გადაცემაში მონაწილეობდა.

პრეზიდენტს, ჩვეულ ფორმატში, რეგიონებში მცხოვრები საქართველოს მოქალაქეები უსვამდნენ კითხვებს. მოსახლეობამ, ძირითადად, სოციალურ და ჯანდაცვის პრობლემებზე საკითხებზე შეაჩერა ყურადღება. მათ შორის, ერთ-ერთი ეხებოდა ხელისუფლების წინასწარჩვენო დაპირებას პენსიების 100 დოლარამდე გაზრდის შესახებ. „**პენსიები ძალიან მნიშვნელოვანია, ჩვენ საარჩევნო დაპირება არ დაგვეწყვიტია. ჩვენ ამ დაპირებას შევასრულებთ**“, - განაცხადა სააკაშვილმა. მისი თქმით, საარსებო მინიმუმის ზრდასთან ერთად, რა თქმა უნდა, სოციალური დახმარებებიც გაიზრდება. გარდა ამისა, პრეზიდენტმა ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტების კითხვებს უპასუხა. ტელეხილის დროს პრეზიდენტს კითხვებს ელფოსტის მეშვეობითაც უგზავნიდნენ.

პრეზიდენტი პასუხობს ხალხის შეკითხვებს“ სამი საათის განმავლობაში გრძელდებოდა. სააკაშვილმა გადაცემის წამყვანების კითხვებსაც უპასუხა. გარდა ამისა, პრეზიდენტს რამდენიმე კითხვით მიმართეს ცალკე სტუდიაში მყოფმა ჟურნალისტებმა.

პრეზიდენტმა 2010 წელს მიღებული საკონსტიტუციო ცვლილებების შედეგებზეც გააკეთა აქცენტი. სააკაშვილის განცხადებით, ახალი მოდელის თანახმად, 2013 წლიდან საქართველოში ერთპიროვნულ და ცენტრალიზებულ მმართველობას ვერავინ შეძლებს. რაც შეეხება მის პოლიტიკურ მომავალს, პრეზიდენტმა ნაადრევად მიიჩნია იმის განმარტება, საპრეზიდენტო ვადის ამოწურვის შემდეგ ფიქრობს თუ არა პრემიერმინისტრის თანამდებობის დაკავებას. „**მთავარი არ არის, სად ვიქნები მე, არამედ მთავარია, სად იქნება ჩემი ქვეყანა**.“

სობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებით სობის მუნიციპალიტეტს თავისი გერბი და დროშა აქვს



სობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება N19 სობის მუნიციპალიტეტის 2011 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“

ნელი, ზემელის მემელისი
იგორ ტყეშელაშვილი, - სობის მუნიციპალიტეტის გამგებელი



„ღმერთო, ღმერთო, მან მიიხი, ივარიას სიმაღლი!“
ბმელრინული სინგლი...“



სახის სასახლი
მადდებული ხარ, მენი საქმეებელი აკეთო!

სობის №1 საჯარო სკოლა 135 წლისაა




სოფალი
კურთხეული ნოქისები



18-19

4

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ახალ ბანკინებას აწესებს



სამშობლოსათვის თავდადებული მამულიშვილი და საქართველოს ეკლესიის საპატრიარქო ტახტის მცველი-ასეთი ტიტული ექნება ოჯახში დაბადებულ მეოთხე შვილს, რომლის ნათლიაც მშობლების სურვილის შემთხვევაში კათოლიკოს-პატრიარქი გახდება. ამის შესახებ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა მცხეთათბილისის მთავარეპისკოპოსმა და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა უწმინდესმა და უნეტარესმა

ილია მეორემ სიონის საპატრიარქო ტაძარში ბრძანა. საქართველოს ეკლესიის საჭეუბრობის ნათლული უკვე 7000მდე ბავშვია.საყოველთაო ნათლობებს საფუძველი 2008 წელს ნათლისღების დღესასწაულზე ჩაეყარა, წელს ამავე დღესასწაულზე ჩვილთა უკვე მეთხუთმეტე ნათლობა გაიმართება. საქართველოს ეკლესიის საჭეუბრობა ახალი წლის პირველ დღეს სიონის საპატრიარქო ტაძარში საქართველოს ერთიანობისთვის პარაკლისი გადაიხადა. კათოლიკოს-პატრიარქმა მრევლს და ასევე აფხაზეთში მცხოვრებ მოსახლეობას ახალი წელი მიულოცა. ღვთისმსახურების დასრულების შემდეგ ტაძარში მრევლს ტკბილეული დაურიგეს.

აფხაზეთში ბერების რუსულ ფარზე დატანა გააკრძალა

აფხაზეთში საზოგადოებამ დე ფაქტო პრეზიდენტის ადმინისტრაციის სხდომათა დარბაზში აფხაზეთის ბერების რუსული გერბის ფარზე დატანა გააკრძალა. ამის შესახებ სააგენტო „აპსნი პრესი“ იუწყება. დე ფაქტო ადმინისტრაციაში საზოგადოების წარმომადგენელთა მიმართვა შევიდა, რომელშიც მათ აფხაზეთის ბერების სახეცვლილება გააკრძალეს. „გაუგებარია, რატომ აღმოჩნდა აფხაზეთის ბერები რუსული გერბის პერალდიკურ ველზე დატანილი. შეგახსენებთ, რომ სახელმწიფო გერბი არ არის ჩინონიკის პირადი გერბი, თუნდაც, ეს ჩინონიკი ყველაზე მაღალი ღონის იყოს. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ ჩვენი სახელმწიფოს დამოუკიდებელი სტატუსი და მისი სიმბოლოები – გერბი, დროშა და ჰიმნი არ უნდა განისაზღვროს კონიუქტურისა და

წუთიერი მიზნებით, როგორც არ უნდა უნდოდეს ეს ვინმეს“, - ნათქვამია წერილში. წერილის ავტორებმა მოითხოვეს, სასწრაფოდ აღმოეჩინათ დაშვებული შეცდომა. წერილს ხელი ყოფილმა დე ფაქტო ვიცე-პრეზიდენტმა რაულ ხაჯიმბამ და კიდევ 23 პირმა მოაწერა. მათ დე ფაქტო პრეზიდენტის ადმინისტრაციამ ყურადღებისთვის მადლობა გადაუხადა და განაცხადა, რომ გერბის შეცვლისას „აიი ზრახვა არავის ჰქონია და ეს მხოლოდ ტექნიკური შეცდომა იყო“. „სახელმწიფო გერბი პრეზიდენტის ადმინისტრაციის სხდომათა დარბაზში ამ დროისთვის უკვე დადგენილ ნორმებთან შესაბამისობაშია მოყვანილი“, - ნათქვამია დე ფაქტო პრეზიდენტის ადმინისტრაციის საპასუხო განცხადებაში. **„ინტერპრესნიუსი“**

სააკაშვილისა და ობამას შეხვედრას თბილისში „მნიშვნელოვანს და არაერთი დადებითი შედეგის მომტანს“ უწოდებენ

საქართველოსა და ამერიკის პრეზიდენტების შეხვედრას თბილისში „მნიშვნელოვანს და არაერთი დადებითი შედეგის მომტანს“ უწოდებენ. საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენლის გიგი წერეთლის შეფასებით, ქვეყნებს შორის სტრატეგიული ურთიერთობა ძალიან მაღალ და მნიშვნელოვან დონეზე და ეს გაგრძელდება. „უპირველეს ყოვლისა, ეს არის ჩვენი პოლიტიკური, ასევე ტერიტორიული მთლიანობისა და ეკონომიკური გაძლიერების მხარდაჭერა. ამ მხრივ მნიშვნელოვანი იყო სხვა შეხვედრებიც, რომელიც პრეზიდენტმა სააკაშვილმა სენატისა და კონგრესის წარმომადგენლებთან გამართა“, - განაცხადა წერეთელმა მიხეილ სააკაშვილის მიერ აშშ-ში გამართული შეხვედრების შეფასებისას. პრეზიდენტის მიერ აშშ-ში გამართულ შეხვედრებს დადებითად აფასებენ საპარლამენტო ოპოზიციის წევრებიც. „ობამას ადმინისტრაციას საქართველოსთან ურთიერთობის გაღრმავების თვალსაზრისით სრულიად კონკრეტული მოლოდინები აქვს. ეს მხოლოდ საქართველოს ავღანეთის ოპერაციაში მონაწილეობით

არ შემოიფარგლება და საქართველოში დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერებას უკავშირდება“, - განაცხადა „ქრისტიან-დემოკრატიის“ ლიდერმა გიორგი თარგამაძემ. როგორც ცნობილია, მიხეილ სააკაშვილმა და ბარაკ ობამამ დახურულ კარს მიღმა შეხვედრა გამართეს. 25-წუთიან შეხვედრაზე მხარეებმა ძირითადად ეკონომიკურ და სავაჭრო, ასევე უსაფრთხოების საკითხებში თანამშრომლობაზე ისაუბრეს. შეხვედრაზე ობამამ საქართველოს მიმართ ურყევი პოლიტიკური მხარდაჭერა კიდევ ერთხელ დააფიქსირა. გარდა ამისა, შეხვედრაზე ავღანეთის სამშვიდობო ინიციატივის მიმდინარეობაზეც გამოხატულა ყურადღება. ობამამ ავღანეთის მისიაში მონაწილე ქართველ ჯარისკაცებს მამაცობისთვის მადლობა გადაუხადა.



ამასთან, სააკაშვილი და ობამა შეძღვრულნი გაფართოებული ფორმატით შეხვედრის შესახებაც შეთანხმდნენ. დახურულ კარს მიღმა შეხვედრას ამერიკის ვიცე-პრეზიდენტი ჯოზეფ ბაიდენი, საქართველოს ეკონომიკის მინისტრი ვერა ქობალია და უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილე ბათუ ქუთელიაც ესწრებოდნენ. სააკაშვილისა და ობამას შეხვედრა თეთრი სახლის ინიციატივით შედგა. **„პირველი“**

ნინო კალანდია - ობამას მიერ უშიშროების საბჭოსთვის მიცემული დავალება მნიშვნელოვანია




ის კონკრეტული საკითხი, რომელსაც მიხეილ სააკაშვილი დასვა.

საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ნინო კალანდია მნიშვნელოვნად აფასებს აშშ-ს პრეზიდენტის ბარაკ ობამას მიერ უშიშროების საბჭოსთვის მიცემულ დავალებას, განსაკუთრებული ყურადღება მიაქცეოს პრეზიდენტ სააკაშვილის მიერ დასმულ საკითხებს. ნინო კალანდიას თქმით, პრეზიდენტებს შორის საუბრის პრიორიტეტული თემები იყო ქართული გათვალისწინებული ყველა საკითხი, მათ შორის ეკონომიკურ და უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობა. „სააკაშვილი-ობამას საუბრის პრიორიტეტული საკითხები იყო ქართული გათვალისწინებული ყველა საკითხი, მათ შორის ეკონომიკურ და უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობა და ძალიან საინტერესოა, რომ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცეს საქართველოს პრეზიდენტის მიერ დასმულ საკითხებს“, - განაცხადა კალანდიამ. ვაშინგტონში საქართველოსა და აშშ-ს პრეზიდენტების შეხვედრისას, ობამამ უშიშროების საბჭოს დაავალა, ყურადღებით შეისწავლონ ყველა

„ინტერპრესნიუსი“

საარჩევნო კოდექსზე მომუშავე ჯგუფი მუშაობას თვის ბოლოდან განაახლებს



საარჩევნო კოდექსზე მომუშავე ჯგუფის წარმომადგენლის მამუკა კაციტაძის განცხადებით, დისკუსიების ეტაპზე საარჩევნო კოდექსში შესატანი ცვლილებების ყველა ის პროექტი განიხილება, რომლებიც ჯგუფის მუშაობის პირველ - საპრეზენტაციო ეტაპზე იქნა წარდგენილი. ინიციატივების არსებითი განხილვების ეტაპი გაზაფხულის ბოლომდე გაგრძელდება. ზაფხულს საარ-

ჩვენი გარემოს გაუმჯობესებაზე მომუშავე ჯგუფი მოზადებული საარჩევნო კოდექსის საქსპერტო ანალიზისთვის გამოიყენებს. შემდგომში კი საარჩევნო კოდექსში შესატანი ცვლილებების ინპლემენტაცია მოხდება. შეგახსენებთ, რომ ახალ საარჩევნო კოდექსზე ხელისუფლება და ოპოზიცია ერთობლივად მუშაობს. სამუშაო შეხვედრები ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში იმართება. ჯგუფის მუშაობის პირველი ნაწილი 2010 წლის დეკემბერში დასრულდა, რომლის დროსაც სამუშაო ჯგუფის წევრებმა საარჩევნო კოდექსში შესატანი ცვლილებების საკუთარი ინიციატივების პრეზენტაციები გამართეს. სულ 17 პრეზენტაცია გაიმართა, რომელთაგან 9 - 8 პოლიტიკურმა პარტიამ წარადგინა. დანარჩენი 8 კი ჯგუფის წევრმა სხვა ოპოზიციურმა სუბიექტებმა. ხელისუფლებას პრეზენტაცია არ გაუშარბია. **„პირველი“**

საქართველოში ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების კუთხით რიგი პროექტები განხორციელდება

თბილისში ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების თემაზე საერთაშორისო კონფერენცია გაიხსნა. სასტუმრო „ძველ თბილისში“ ბირთვული უსაფრთხოების უცხოელი დელეგატები არიან შეკრებილები. უცხოელმა დელეგატებმა ქართველ კოლეგებთან ერთად ის პროექტები უნდა დაამტკიცონ, რომლებიც საქართველოში ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების თვალსაზრისით განხორციელდება. „საქართველო დასავლელ პარტნიორებთან ერთად როგორც რეგიონის, ისე მსოფლიოს ბირთვულ

უსაფრთხოებაზე პასუხისმგებლობას იღებს. გასულ წელს ვაშინგტონში ბირთვული უსაფრთხოების სამიტში საქართველოს პრეზიდენტის მონაწილეობა ამის ნათელი გამოხატულებაა.“ - განაცხადა კონფერენციის გახსნისას საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრმა გოგა ხაჩიძემ. კონფერენციაში, რომელიც დიდი ბრიტანეთის საელჩოს ხელშეწყობით იმართება, მსოფლიოს ქვეყნების 50-მდე წარმომადგენელი მონაწილეობს. **„პირველი“**

ინტერვიუ

როგორ ხვდებიან რეგიონის სახელმწიფო მოხელეები ახალ წელს, ამ რუბრიკის ფარგლებში ჩვენი სტუმარია სობის მუნიციპალიტეტის გამგებელი ბატონი იგორ ტყეშუჩავა.

- ბატონო იგორ, ჩვენ სისტემატურად ვაშუქებდით რეგიონის ყველა მუნიციპალიტეტის ცხოვრებას, მათ შორის ხობი საინტერესო ფორცლებით წარსდება მკითხველთა წინაშე. 2010 წელი თქვენი თვალთახედვით როგორ იყო ხობის მუნიციპალიტეტისათვის?

- 2010 წლის ხობიდან მივესალმები თქვენი ჟურნალის ერთგულ მკითხველებს, რომლებსაც, ვეცდებით 2011 წელს უფრო საინტერესო ინფორმაციები მივაწოდოთ. როგორც მუნიციპალიტეტის გამგებელი, ძირითადად დადებითად ვაფასებ ამ წელიწადს, თუმცა არსებობს პრობლემები, რომელთა გადაჭრაც 2011 წელს მოგვიწევს. ვფიქრობ, 2010 წელი ერთდროულად სიახლეებით, ნოვაციებით, ყო-

საქართველოს კათალიკოსის მიერ გაცემული სიგელი.

განათლების სფეროში-12 ოქროსა და 13 ვერცხლის მედალოსანი, წარმატებული ხობელი სტუდენტები ქვეყნის სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში. ასევე წარმატებული პედაგოგები.

სპორტული ცხოვრების სიახლე და სიხარულია 2010 წლის ევროპის ჩემპიონი მკლავჭიდში, - გენადი კვიციანი, 2010 წლის ევროპის ჩემპიონი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში მანუჩარ ცხადია. ასევე ჩემპიონი კარატე დო-ში, 12 წლის გოგა კორტავა, რომელმაც სტამბულში გვასახელა. ვროპის ჩემპიონი-ვილენ გაბრავა. ნიჭიერი მოჭადრაკე ბავშვები, რომლებმაც კარგი მაჩვენებლებით დამთავრეს საჭადრაკო სეზონი. ნორჩ ფეხბურთელთა წარმატებები.

აგარაულმა სექტორმა-მიუხედავად გვაღვიანი ზაფხულისა, მაინც გაუძლო ბუნების გამოცდას და ხობელები ახალ წელს საკუთარი შრომის ნაყოფით ხვდებიან.


- რასთან ასოცირდება თქვენთვის შობა-ახალი წელი

რაც უამრავ საქართველოზე შეყვარებულ უცხოელ შემსრულებელს და მსმენელს მოიზიდავს ხობში, დასრულება წმინდა ხარების სამონასტრო კომპლექსის მშენებლობა, რაც სულიერ კურორტსა და სეზონურ რესტორანს შექმნის ხობსა და საქართველოს. ასე, რომ ახალ წელს ძველი წლისაგან ნაჩუქარი საუკეთესო მიღწევების გაგრძელებას, ქვეყნის ცხოვრებაში აღებული წინმაგალი ორიენტაციის შენარჩუნებასა და განმტკიცებას, საქართველოში მცხოვრები თითოეული ოჯახის სულიერ, ეკონომიკურ გაძლიერებას, განცდილ სიხარულზე მეტ სიხარულს, გადატანილ პრობლემებზე ნაკლებ პრობლემას ველოდები.

- ხად შეხვდება მუნიციპალიტეტის გამგებელი ახალ წელს?

- საახალწლოდ ხობში საინტერესო ღონისძიებები იგეგმება. ჩვენ ტრადიციად გვაქვს, ახალი წელი მივულოცოთ პირველ რიგში იმ ხალხს, ვინც ახალ წელს სამსახურეობრივი მოვალეობის გამო ოჯახში ვერ ხვდება. აღვნიშნავთ

შეხვედრა საოლქო - საარჩევნო კომისიის საარჩევნო კომისიის წევრები, პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები: თემურ გულუა - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“-ს თავმჯდომარე, მამუკა ქარდავა - საქართველოს კონსერვატიული პარტიის ხობის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ხობი-დემოკრატების“ თავმჯდომარე, ბორის ბერაია - ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის ხობის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ხობი-დემოკრატების“ წევრი, სოფიო კვარაცხელია - საქართველოს რესპუბლიკური პარტიის წარმომადგენელი, ზვიად ქანდაძემ - ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის წევრი, კახაბერ ბენიძე - საქართველოს კონსერვატიული პარტიის წევრი, მანანა შულაია - გაზეთ „ხობის მოამბეს“ რედაქტორი, მაკა ლატარია - არასამთავრობო ორგანიზაცია სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების ხობის მუნიციპალიტეტის კოორდინატორი.



ამასწინათ, №66 ხობის საოლქო - საარჩევნო კომისიის ოფისში გამართა სამუშაო შეხვედრა, რომელშიც ხობის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებადი პოლიტიკური პარტიების, ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების და მასმედიის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ.

შეხვედრას ესწრებოდნენ: №66 ხობის საოლქო საარჩევნო კომისიის წევრები, პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები: **თემურ გულუა** - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“-ს თავმჯდომარე, **მამუკა ქარდავა** - საქართველოს კონსერვატიული პარტიის ხობის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ხობი-დემოკრატების“ თავმჯდომარე, **ბორის ბერაია** - ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის ხობის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ხობი-დემოკრატების“

ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე, აგრეთვე ერთობლივი ღონისძიებებისა და საქმიანობის დაგეგმვას.

ბატონმა ბორის ბერაიამ აღნიშნა, რომ ასეთი შეხვედრები ხელს შეუწყობს პრობლემების აღმოფხვრას, საერთო აზრის გამოკვეთას, არსებობს შეკითხვები, რომლებსაც მომავალ შეხვედრაზე ჩვენს მიერ შემუშავებულ წინადადებებთან ერთად წარმოვადგენთ. მანვე მაღლობა გადაუხადა „სამართლიანი არჩევნების“ წარმომადგენელს გაწეული მუშაობისათვის.

ბატონმა მამუკა ქარდავამ უკმაყოფილება გამოხატა პოლიტიკური პარტიების რაიონული ორგანიზაციების არ არსებობაზე და მმართა არასამთავრობო ორგანიზაციებს უფრო მეტი აქტიურობა გამოიჩინონ და მეტი ყურადღება დაუთმონ რეგიონებს.

ბატონმა თემურ გულუამ ისაუბრა ხელისუფლების მაქსიმალურ მზადყოფნასა და თანადროულ იმისათვის, რათა ხელი შეუწყოს არჩევნების ობიექტურად ჩატარებას. ასევე მზადყოფნა გამოთქვა თანამშრომლობაზე.

ქალბატონმა მაკა ლატარიამ ზოგადად შეაფასა არასაარჩევნო პერიოდის მუშაობა.

შეხვედრა შეაჯამა ბატონმა მინდია ლომიაიმ, რომელმაც ისაუბრა სამოქალაქო რეესტრთან ერთად სიების განახლება-დამუშავების პროცესზე, ყურადღება გაამახვილა მისამართების დაზუსტებაზე, მუნიციპალიტეტის სინამდვილიდან გამომდინარე პრობლემური საკითხების შესწავლაზე, აქვე დაიგეგმა მომავალი შეხვედრის დრო 2011 წლის 21 იანვარი.

შეხვედრის დასასრულს, მონაწილეებმა დაასკვნეს, რომ მსგავსი ტიპის შეხვედრები, ხელს შეუწყობს მომავალში გაუმჯობესებული საარჩევნო გარემოს შექმნას.

მანანა შულაია.

ხელი, რომელსც მეიმეფენა

იგორ ტყეშუჩავა, - ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელი

ველდიური პრობლემების გაანალიზებით და შესრულების მიზნით იყო დატვირთული, რასაც რეგიონის ხელმძღვანელობა ადგილობრივ ხელისუფლებასთან, ხალხთან კოორდინირებულად ასრულებდა და რეალური ასახვა ჰპოვა ხობის მუნიციპალიტეტზე.

- 2010 წელს მუნიციპალიტეტის ცხოვრებაში გამოკვეთილი სიახლე?

- ინფრასტრუქტურის განვითარება-რეაბილიტაცია, რომელიც ახალი გზების, ახალი ხიდების, გამრიცხველიანების, განათებისა და წყალსადენი სისტემის გარკვეული ნაწილის აღდგენით, ოთხი ახალი საბავშვო ბაღის გახსნით, განახლებული მისწავლე-ახალგაზრდობის სახლით, იმულებით გადაადგილებულ პირთა რეაბილიტირებული საცხოვრებელი ბინებით გამოიხატა. აქ ძირითადად ეკონომიკურმა სფერომ იმუშავა.

კულტურის სფეროში-ხობელ შემსრულებელთა ტურნეები საზღვარგარეთ, ასევე წარმატებული მონაწილეობა ქართულ ფესტივალებზე.

არქეოლოგიის და ისტორიის თვალსაზრისით-ხობის მონასტერი ახალი არქეოლოგიური აღმოჩენები, დადიანთა აკლდამის სახით. ასევე კვლევის საგანია დასავლეთ



და რას ელოდებით 2011 წლისაგან?

- შობა-ახალი წელი უკან მოხედვის, გაანალიზების და მომავლისაკენ ახლებური ხედვის, უფლის წყალობის მოლოდინთან ასოცირდება.

ხობისათვის უკვე გამოკვეთილია ძირითადი პრიორიტეტები, რომლებმაც 2011 წლის ბიუჯეტში 3 პოვა ასახვა და განვითარების ფონდისა და სხვა სახელმწიფო მიმართულებებით ფინანსდება 2011 წლის სერიოზული პროექტები. თავისუფალი ეკონომიკური ზონისა და ანაკლიის პორტის, ასევე სხვა საინვესტიციო პროექტებით მოსალოდნელია ხობელთა დასაქმება. 2011 წელი ქართული, მეგრული სიმღერის საერთაშორისო ფესტივალი „ხობის“ საიუბილეო წელია,

„ხობის უსაფრთხო დედობისა და ბავშვთა გადარჩენის ცენტრში“ მოვლენილ პატარა ხობელის დაბადებას და იმედია ამ ახალ წელს უფრო მეტი ჯანმრთელი და ლამაზი ხობელები შეემატებიან საქართველოს.

შემდეგ ტრადიციულად მივიღოვარ სახლში და ოჯახურ გარემოში ვხვდები წელს, წელს რომელიც მიმეძება.

- ნატურა, რომელსაც ახალ წელს ჩაიფიქრებთ.

- დმერთო, მოგეცეი ძალა საქართველოს გასამთლიანებლად, მოგეცეი მშვიდობა შინ და გარეთ, უნარი გავახაროთ მოყვასი და ყველამ ვაკეთოთ კეთილი საქმე, რომელიც ქვეყანას წაადგება.

ნათია ჯგუშია
ჟურნალის „იბრისი“

გვწერენ

სამაღლო გელი

ერთ დროს აღმაშენებლის ქუჩის მცხოვრებლებს ბუნებრივი გაზიც და ქუჩის განათებაც გვქონდა.

გასული საუკუნის ბოლოს საქართველოში დატრიალებულმა მოვლენებმა ორივე მათგანი წარსულს ჩააბარა, ქუჩის მცხოვრებლებმა აღნიშნული საკითხების რეაბილიტაციის შესახებ არა ერთხელ მიემართეთ რაიონის ყოფილ ხელმძღვანელებს, მაგრამ ამაოდ.

შარშან ამ საკითხებზე რაიონის გამგებლს ბატონ იგორ ტყეშუჩავას მივმართეთ, რომელმაც ჩვენი გულისტკივილი გულთან ახლოს მიიტანა და განათების სამუშაოები დაიწყო, ახალი წლის დადგომა ქუჩის განათებასთან ერთად ვიხეიეთ.

ვიმედოვნებთ, რომ გაზის რეაბილიტაციის საკითხიც უმოკლეს პერიოდში მოგვარდება.

ქუჩის მცხოვრებლები მაღლობას ვუხდით ბატონ იგორ ტყეშუჩავას და ყველას, ვინც ამ საკითხის გადაწყვეტაში აქტიური მონაწილეობა მიიღო.

ვსარგებლობ მომენტით და ახალი წლის მობრძანებას ვულოცავ ჩემს კოლეგებს, მუნიციპალიტეტის მოსახლეობას, მთელ საქართველოს.

შალვა ხარებავა,
რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი,
ღირსების ორდენოსანი.

ნოჯიხევი სოფელი ხობის რაიონში, ოდიშის დაბლობზე, მდ. ხობისწყლის მარცხენა ნაპირას. შედგება შემდეგი უბნებისაგან: კუთხე ნოჯიხევი, ნაფოშტუ, მონასტერი, ზენი-სოცსოფელი. ზღვის დონიდან 30მ, ხობიდან 3,5 კილომეტრი. სოფლის ტერიტორიაზე დგას უძველესი ისტორიული ძეგლი ხობის მონასტერი. ძირითადი გვარები: გერგაიები, ცხადაიები, ცქირიები, ქაქუთიები, ჩიტაიები, ჯორჯიკიები, სასანიები, სოჭინავეები.

ცნობები სოფლის ისტორიიდან

ხობის მონასტერს მნიშვნელოვანი როლის შესრულება მოუხდა ქართული კულტურის ისტორიაში. უპირველესად აღსანიშნავია ხობის მონასტრის როლი ამ კუთხის მცხოვრებთა ზნეობრივი სახის ჩამოყალიბებაში. ქრისტიანული რელიგიის წმიდათა-წმიდა რელიქვია მარიამ ღვთისმშობლის კვართი, თამარ მეფის დედის ბორღოხან დედოფლისეული ხატი, თამარ მეფის მკერდსაკიდი ჯვარი, აი, რა განძი ინახებოდა მონასტერში. აქვე ელო ბინა მაცხოვრის, ღვთისმშობლის, წმიდა გიორგის, იოანე ღვთისმეტყველის ხატებს. მათ გვერდს უმშვენებდა ბედიანის, ხუაშაქის, ლევან დადიანის და სხვა ისტორიულ პირთა მიერ შეწირული ოქრო-ვერცხლის ხატები და სხვა ძვირფასეულობანი, აქ ინახებოდა ქრისტეს რჯულისათვის წამებულ წმინდანთა (წმ. გიორგის, წმ. კვირიკის, იოანე ნათლისმცემლის სხეულის წმინდა ნაწილები. დავით აღმა-

ნოჯიხევის „ჯიხა“-ციხე

სოფელ ნოჯიხევის ადგილობრივი, მეგრული სახელწოდებაა „ნოჯიხი“, რაც ნაციხარს ნიშნავს. („ჯიხა“ ქართულად ციხეა). დღეისათვის სოფელი ნაციხარიდან საკმაოდ დაშორებულია. ძველად იგი ციხის ირგვლივ უნდა ყოფილიყო განთავსებული, XIX საუკუნეში მიმდინარე ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა ცვლილებებმა სოფელი უფრო ქვევით, ვაკე ადგილებსაკენ გადაწია, XX საუკუნეში კი მან მთლიანად რკინიგზის სადგურ, ხობის მიმართულებით გადაინაცვლა. ციხის ნაშთები კუთხე ნოჯიხევის სასაფლაოდან ჩრდილო დასავლეთით, დაახლოებით ორი კილომეტრის დაშორებით საკმაოდ მაღალ ბორცვზე მდებარეობს. ამ სასაფლაოზე საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე წმ. მთავარანგელოზთა სახელობის ხის ეკლესია იდგა, რომელიც ბოლშევიკებმა 1924 წ. აჯანყების შემდეგ დაანგრიეს. ამ ეკლესიასთან იმართებოდა სოფლის მთავარი დღესასწაული- ჯარიანობა, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა „ცააშხა კორობუას“

ვი ვაჭრებისა და ხელოსნების შემწეობით აშენდა, ამ სკოლის შემკვიდრება დღევანდელი ხობის №1 საჯარო სკოლა.

1900 წელს 4 სექტემბერს ხობის მონასტრის წინამძღვარმა სვიმონმა (აფაქიძემ), სამრევლო-საეკლესიო სკოლა დაარსა.

1901 წლის 3 სექტემბერს ნოჯიხევის ეკლესიასთან სპირიდონ ჯორჯიკიამ და ვერა სიჭინავამ ქალთა სასწავლებელი გახსნეს. რაც შეეხება ხობის მონასტრის დღევანდლობას, ხობის მონასტრის წინამძღვარი მამა ილია და აქ მოღვაწე მონაზვნები ძალისხმევას არ იშურებენ მისი აღორძინებისათვის. დღითიდღე ღამიდან ღამით სამონასტრო კომპლექსი და იქ მისულთ სხვა სამყაროში გარდასახვა გვიწევს. ხობის მონასტერში ბოლოდროინდელმა აღმოჩენებმა საზოგადოებაში მკვეთრი დაინტერესება გამოიწვია.

ამ საკითხთან დაკავშირებით კომენტარი ვთხოვეთ: ისტორიკოსს, ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის მეგობარ დაცვის სამსახურის უფროს ბატონ გოგიტა ჩიტაიას:
„ხობის მონასტრის განსაკუთ-


რებული თანასოფლელების მიერ გამოხატული დიდი ნდობის შედეგია, ამ ხნის მანძილზე რისი გაკეთება შესძლებოდა და რას პირდებით თქვენს თანასოფლელებს?

–პირველ რიგში ვსარგებლობ შემთხვევით და ჩემს თანასოფლელებს, ხობელებს, მოგილოცავთ ახალ 2011 წელს. სიკეთე და ბარაქა დაგებულობეთ. დაე ეს წელი ყოფილიყოს თითოეული თქვენთაგანისათ-



მამთიანი თაყაიშვილი ხობის მონასტრის პირველადი პირადი 1913 წ.

**კ უ რ თ ს ე უ ლ ი
ნ ო ჟ ი ხ ე ვ ი**



თამარ მეფის ბუღსაკიდი ჯვარი

ეძახდა და რომლის არსი და მნიშვნელობა არავის ახსოვს. („ცააშხა“ მეგრული სიტყვაა და ქართულად ხუთშაბათს ნიშნავს). მსცოვანი ისტორიკოსი და დამსახურებული პედაგოგი ჩვენი რაიონის მკვიდრი ამჟამად თბილისში მცხოვრები ვალერიან იოსავას მოგონებით, ის ბავშვობაში „ცააშხა-კორობუას“ წითელი კვერცხებით ხელში დასწრებია და აქედან გამომდინარე ფიქრობს, რომ აღნიშნული დღესასწაული ბრწყინვალე ხუთშაბათს აღინიშნებოდა. მისივე გადმოცემით, ამ ეკლესიასთან „ჯენჯერობის“ დღესასწაულსაც აღნიშნავდნენ, რომლის შესახებ სამწუხაროდ მან არაფერი იცის.

XIX საუკუნეში ეკლესია სოფლის შუაგულში იდგა, აქვე ყოფილა სოფლის ადმინისტრაცია, სამრევლო სკოლა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ სოფელმა ავგილი ინაცვლა და ეს უბანი სოფლის განაპირა მხარეს დარჩა, ნოჯიხევი არის უბანი, რომელსაც ადგილობრივი მცხოვრებლები დღეს კუთხე ნოჯიხევის, ხოლო ადრე კურთხეულ ნოჯიხევის ეძახდნენ, რადგან გადმოცემით აფხაზეთში მიმავალი თამარ მეფე აქ განჩერებული ღამის გასათევად, მოსწონებია აქაურობა, სოფელი დაულოცავს და უკურთხებია, ამის შემდეგ ამ სოფელს „კურთხეულ ნოჯიხევის“ ეძახდნენ. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ კი სიტყვა „კურთხეული“ კუთხეთი შეიცვალა და სოფლის ამ უბნის სახელწოდებად კუთხე ნოჯიხევი დამკვიდრდა.

ნოჯიხევის საზოგადოებაში, ანუ თემში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ხობიც შედიოდა, ამიტომ ზემოთ აღნიშნული ეკლესია, თემის სამრევლო ეკლესიას წარმოადგენდა. ნოჯიხევის თემიდან იყო კონსტანტინე ჯორჯიკია. იგი სამწერლობო ასპარეზზე ჯაჯუის სახელით არის ცნობილი. 17 წლის იყო, როდესაც ილიას „ივერიაში“ დაიწყო თანამშრომლობა. მას უმაღლესი განათლება საფრანგეთში ქონდა მიღებული. 1942 წლიდან 1953 წლამდე იგი იყო თბილისის პირველი საშუალო სკოლის დირექტორი. ნოჯიხევის თემში (დღევანდელი ხობის ცენტრში) 1875 წელს დაარსდა სამინისტრო სკოლა. სკოლის შენობა ადგილობრი-

რებულობას ხაზს უსვამდა ის, რომ აქ სხვა სიწმინდეებთან ერთად ღვთისმშობლის კვართი იყო დასვენებული. ადგილობრივი გადმოცემით აქ იყო დასვენებული ცოტნე დადიანი... ერთ წელზე მეტია ხობის მონასტრის ისტორიას სწავლობენ მეცნიერთა ჯგუფი: პროფესორები-თამაზ ბერაძე, იუზა ხუსკვიცაძე, ირინე ელიზბარაშვილი, ბუბა კუდავა, გონა საითიძე, პაატა ცხადაია, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორები: რევაზ პაპუაშვილი, ნანა პაპუაშვილი, თემურ ჯორჯუა, თამარ ნემსაძე, ანზორ სიჭინავა, ზურაბ ჯანელიძე... რამდენიმე წელია ტაძრის ისტორიას ჩვენც ვსწავლობთ, ვმონაწილეობდით შარშან, ხობის მონასტრის ეზოსა და ტაძრის შიგნით ჩატარებულ ჯგუფურ გათხრებში, შედეგი ნამდვილად შთამბეჭდავი იყო, დადასტურდა ძველ დადიანთა საგვარეულო აკლამა, სადაც ცხადია ჩვენი ეროვნული გმირი და წმინდანი ცოტნე დადიანიც უნდა ვიგულისხმოდ. ტაძრიდან სამხრეთ დასავლეთით 300-იდე მეტრში ადრექრისტიანული ნაეკლესიარი დაფიქსირდა, ტაძრის თანამედროვე შენობის ქვეშ ადრინდელი ნაეკლესიარის ნაშთებიც გამოიკვეთა, ეს განსაკუთრებით კარგად გამოჩნდა საკურთხეულის კედლებს ქვეშ. კვლევების შედეგები მნიშვნელოვნად აძველებს ხობის მონასტრის ისტორიას, არ მინდა მოვლენებს წინ გავუსწრო, ამის შესახებ დაიწერება ზემოთ აღნიშნული მკვლევარების მიერ, იმ წიგნში რომელიც უახლოეს მომავალში გამოიცემა.“

სოფელ ნოჯიხევის საკურთხელო საკითხებზე სასაუბროდ რედაქციაში მოვიწვიეთ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატი სოფელ ნოჯიხევიდან ბატონი რევაზ წულაია და სოფლის რწმუნებულის, ბატონი აპოლონ ალექსანდრია.

–ბატონო რევაზ, როგორც საზოგადოებისათვის ცნობილია იყავით სოფელ ნოჯიხევის გამგებელი, სოფლის საკრებულოს თავმჯდომარე, რაიონის ასოცირებული საკრებულოს თავმჯდომარე, 2006 წლის მოწვევის ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მთადგვი, ხართ 2010 წლის მოწვევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატი, ალბათ დამეთანხმებით, რომ ეს თქვენდამი

ვის ყოველგვარი პრობლემების მოგვარების წელი.

ჩემო ნოჯიხეველებო, ჩვენ ერთმანეთის გვერდით ვართ ეროვნული მოძრაობის დაწვევიდან- 1989 წლიდან. პირველი ნდობის მანდატი თქვენგან მივიღე 1991 წელს, როდესაც თქვენს მიერ არჩეული ვიყავი სოფლის გამგებლად, მას შემდეგ მრავალი პრობლემა ერთად გადაგვილახავს. სამოქალაქო ომი, სიცოცხე, სიბნელე, შიმშილი, გადაგვიტანია, მაგრამ ეს ყველაფერი წარსულს ჩაბარდა, ცხოვრება ჩაღვა ჩვეულ რიტმში, 2003 წლის ვარდების რევოლუციამ ყველაფერი რადიკალურად შეცვალა, ისევ გაჩნდა რწმუნა მომავლისა, საქართველოში ნელ-ნელა დაიკავა ღირსეული ადგილი მსოფლიოს ცივილიზირებულ სახელმწიფოთა რიგებში. ქვეყანამ სწრაფად დაიწყო ეკონომიკური ზრდა, რაც ბუნებრივია აისახა ჩვენი სოფლის სინამდვილეშიც.

ადგილობრივი ბიუჯეტიდან მოხდა სოფლის ცენტრალური გზის მოასფალტება, შეკეთდა შიდა სასოფლო გზები, მოეწყო ცენტრალური გზის განათება, გაიხსნა წლების მანძილზე დაზარალებული საბავშვო ბაღი. უკვე რამდენი წელია ძალიან ეფექტურად მუშაობს პრეზიდენტის ინიციატივით დაწყებული „სოფლის პროგრამა“, რომელიც ყოველწლიურად ორმაგდება. ამ პროგრამის ფარგლებში ძალიან ბევრი ობიექტი გაკეთდა.

მიუხედავად ამისა, სოფელში ჯერ კიდევ საკმარისადაა მოუგვარებელი საკითხები, კარგად ვიცით, რომ გასაკეთებელი კიდევ ბევრია. მე თქვენი მონა-მორჩილი, სოფლის რწმუნებულთან ერთად ყოველწლიურად ვცდილობ აღნიშნული პრობლემები დასმულიქნას მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის წინაშე, რათა მზადეს შესაბამისი პროექტების შექმნა და მისი შეტანა ადგილობრივ ბიუჯეტში.

–ბატონო აპოლონ, არც თუ ისე შორეულ წარსულში

რი. ამჟამად სოფელში 2 სკოლა, 2 საბავშვო ბაღი, პროფესიული განვითარების ცენტრი, 3 ღაფის დამფასოებელი საამქრო, 3 მარკეტი და 3 ჯიხური ფუნქციონირებს. გაიხსნა მაგრამ ძალიან შეწყვიტა ფუნქციონირება თაბაშირმუფასო ქარხანამ. არსებული ძალზე უმნიშვნელოა მოსახლეობის დასასაქმებლად. ძირითადად დაკავებული არიან პირადი მეურნეობით, ბევრი საზღვარგარეთაა სამუშაოდ წასული.

–ქვეყანაში ინფრასტრუქტურა ძალიან განვითარდა, კეთდება გზები, განათება. ამ მხრივ რა პრობლემებია სოფელში?

–მიუხედავად ინფრასტრუქტურის განვითარებისა, სოფლის ცენტრალური გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩასატარებელია, ხელმძღვანელობა გვპირდება ამ პრობლემის



წლის ბოლომდე მოგვარებას. სარემონტო შიდა სასოფლო გზები. უნდა ჩატარდეს წყალგაყვანილობის სარეაბილიტაციო სამუშაოები. ამოსაწმენდა არხები, შემოსაკავეებელია სასოფლო ტერიტორია, სარემონტო მისასვლელი გზა და უნდა გაკეთდეს ხიდ-ბოგირი. დასასრულს უახლოვდება ელექტრო გამრიცხველიანება, დიდი იმედი გვაქვს იმის, რომ ქალაქის გაზიფიკაციის შემდეგ სამუშაოები აქეთაც გადმოინაცვლებს.

სოფლის ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის მნიშვნელოვანია „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამის განვითარება. 2009-2010 წელს გამოყოფილი იყო შესაბამისი თანხა. ჩატარდა წყლის გამრიცხველიანების, არხის ამოწმების, ფეხბურთის მოედნების შემოკავეების სამუშაოები. სოფლის ცენტრში გაკეთდა სკვერი, მოეწყო ერთი ხიდ-ბოგირი, კეთილმოწყობილიქნა №1 საბავშვო ბაღის ეზო.

ვცდილობთ და მომავალშიც ვეცდებით (ჩვენი უდიდესი სურვილია) ვიყოთ თითოეული მცხოვრების გვერდით, მინიმუმ ვაგრძობინოთ მათ ჩვენი მორალური მხარდაჭერა.

გმირი მოამზად ნინო ბერბაიაძე.

სობის №1 საჯარო სკოლა 135 წლისაა ისტორია და დღევანდელი



დიდი ქართველი მოღვაწე გიორგი მცირე „გიორგი მთაწმინდელის ცხოვრებაში“ წერდა, რომ ბასილ დიდის მიხედვით—სიბრძნე დაფარული და საუნჯე უჩინო, ვინ ირგოს მისგან? და კვლად: ტალანტის დამფუძვლელთა და წყაროსა და მყოფელთა და საუნჯისა უჩინო მყოფელთა თანა დაისაჯოს“. ქართველი ერი დღემდე უჩინოა იმ მცირე ერებს შორის ერთ-ერთია, ვისაც საკუთარი დამწერლობა გააჩნია. ცხადია ეს არის დასტური იმისა, რომ ჩვენს წინაპრებს განსაკუთრებული

დამოკიდებულება გააჩნდათ განათლებისადმი, ცოდნის შექმნისადმი. არსებობს ცნობა, რომელსაც პროფესორმა გურამ შარაძემ მიაკვლია და 1972 წელს გამოაქვეყნა, რომლის მიხედვითაც „არა უწიგნონი იყვნენ ქართველი უწინარეს ჟამთაგან შინა. ვიდრე ფარნავაზამდე სწერდნენ იგინი უხუცესთა წერილთა, ესე იგი ქურუმთა მათ, რომელთაც უხუცესთა და ხევისბერთა უხმობენ: იგინი იყვნენ კერპთა მღვდელნი და მემესხვერპლენი ერისანი ღმერთთა იმთ და წერილი მათი არს წერილი ესე უხუცური ჩვენი...“ ჩვენ წინაპრები—ღირსნი კაცნი და მეცნიერნი ქართველთა შორის“ უძველესი დროიდან დიდ ყურადღებას აქცევდნენ მოზარდი თაობის სულიერ და ფიზიკურ აღზრდას.

სასკოლო ორგანიზაციას ჩვენში ძველი ტრადიცია აქვს, უძველესი ცნობის მიხედვით ფოთთან ახლოს ფილოსოფიურ-რიტორიკული სკოლა არსებობდა, სადაც განათლებას ქართველებთან ერთად ბერძენებიც იღებდნენ. სწავლა-აღზრდის კერები ძირითადად ეკლესია-მონასტრებთან არსებობდა, მაგრამ იყო შინაურ პირობებში განათლების მიღების ტრადიციაც, მაგალითად—ვახტანგ გორგასლის აღმზრდელი მიქაილ ეპისკოპოსი, ხოლო ბაქარ მეფის შვილის მურმანისა, მთირიდატე ლაზი ყოფილა. გიორგი მთაწმინდელმა დაწესებითი განათლება ტაძარში მიიღო, სადაც მან 7 წლიდან 10 წლამდე დაჰყო. ადრეულ მონასტრებთან გვხვდება დიდი ზომის ნაგებობანი, რომლებიც ეკვთიძე თაყაიშვილის აზრით, სასკოლო დაწესებულებები უნდა ყოფილიყო.

მასწავლებელს—მომღვარი, უფროს მასწავლებელს მოძღვართ—მოძღვარი, ხოლო სკოლის ხელმძღვანელს თავმჯდომე ერქვა. XI-XII საუკუნიდან გვხვდება ტერმინი მასწავლებელი. სკოლაში ასწავლიდნენ თეოლოგიას, ფილოსოფიას, გალობას, ჰიმნოგრაფიას, გრამატიკას, რიტორიკას, ბუნებისმეტყველებას, უცხო ენებს, განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ფიზიკურ მოზადებას...

მართალია, გვიან შუასაუკუნეებში ჩვენში მძიმე პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობა იყო, ცოდნის მიღების სურვილი არ განელებულა, იყო ხანმოკლე, მაგრამ აღმავლის პერიოდებიც. ვგულისხმობ ვახტანგ VI-ისა და ლევან II დადიანის მოღვაწეობას. XIX საუკუნეში კი რუსულმა მმართველობამ განათლების ისეთი ფორმები დანერგა, რაც ქართველების გარუსებას ითვალისწინებდა, ქართველები ჯერ ეკლესია-მონასტრებთან, მოგვიანებით კი სამრევლო სკოლებში ასწავლებდნენ.

საბედნიეროდ, საქართველოში მრავალი სასწავლო დაწესებულებაა, რომელიც ქართული სასკოლო ტრადიციების ღირსეული გამგრძელებელია, მათ შორის ერთ-ერთი სობის №1 საჯარო სკოლაა, იგი ერთ-ერთი უძველესია ახალი დროის სკოლებს შორის, რადგან დაარსებულია 1875 წელს, იგი 135 წლისაა. სამუსხაროდ, ჩვენთვის უცნობია ვინ იყო სკოლის დაარსების ინიციატორი, XIX საუკუნის რამდენიმე მოძღვარის გვარი და სახელია ვიცით. სკოლა იქ იდგა, სადაც დღეს მრგვალფასადიანი შენობა დგას, იგი ხის ოდა-სახლს წარმოადგენდა. XIX საუკუნეში სობი ნიჯნიხევის თემში შედიოდა, აქ 1886 წელს ცხოვრობდა—346 კომლი, აქედან ნოჯინეში—215, ხობში—131 კომლი. კავკასიის სამოსწავლო მხარის მზრუნველის ოფიციალური ანგარიშის მიხედვით: 1885 წელს მასწავლებელი იყო გიორგი ფერაძე, ხოლო ზედამხედველი ივანე იესეს ძე შონია, 1887 წელს—მასწავლებლები იყვნენ ფარნაოზ ფინჩაია და ივანე ლიფონავა. ზედამხედველი ივანე შონია. 1888 წელს სკოლას 106, 1889 წელს—98, 1892 წელს—110, 1902 წელს 151 მოსწავლე ჰყავდა. დროისა და კომლთა რაოდენობის გათვალისწინებით, მოსწავლეთა რაოდენობა და შესაბამისად სწავლის წყურვილი, დიდი იყო.

სასკოლო ცხოვრება, საზოგადოების დამოკიდებულება სკოლისადმი და სკოლის როლი საზოგადოების ცხოვრებაში ასახულია XIX-XX საუკუნის ქართულ და რუსულ პრესაში:

გაზეთ „ივერიის“ 208 ნომერში ხობის სკოლის მასწავლებელი მ.პ. ლიფონავა წერს: სკოლის ახალი შენობის აშენების შესახებ, საზოგადოებას გამოუყვია 2500 მანეთი, მოსწავლეები ახალი შენობის აგებამდე დროებით სასამართლოს შენობაში გადაუყვანიათ. იგი აღნიშნავს: „...იმედია ბატონი ივანე ჯორჯიკია, როგორც თავი კაცი ამ საზოგადოებისა, როგორც პირველ-დამწვები და გულშემატკივარი ამ საქველმოქმედო საქმისა, უკანასკნელად არ დაიშურებს მეცადინეობას და ჩინებულად დაწვებულს, ჩინებულადვე დაავებრებინებს.“

ამავე გაზეთის 1890 წლის 47 ნომერში კი აღნიშნულია, რომ 12 თებერვალს ხობში დიდი ხანძარი ყოფილა, ყველა შენობა, გარდა სკოლისა, დამწვარა...

გაზეთ „ივერიის“ 1892 წლის 266 ნომერში კი წერია: „...წარსულ 29 ნომერს აქაურს ნორმალურ სკოლაში ქართული წარმოდგენა იყო გამართული, რომლის შემოსავალი ხარჯს გარდა დანიშნული იყო ამავე სკოლის სასარგებლოდ. წარმოდგინეს „ბაიყუში“. მოთამაშეები იყვნენ: ქალბატონი ჯორჯიკიასი და ბატონი ერ. შარაძემ, ა. გვასალია და სხვანი: მოთამაშეებმა თავიანთი როლი მშვენივრად შეასრულეს. საზოგადოება გვიანად დაესწრო და ყველანი დიდად ნასიამოვნები დარჩნენ. იმედია, ჩვენი ახალი სცენის მოყვარულნი შემდეგში გამართავენ წარმოდგენებს თავისდა სასახლოდ და გასართობად, შემოსავალი ხარჯს გარდა დარჩა სკოლას სამ თუმნამდის. ესეც კარგი შესამატია პატარა სასწავლებლისათვის“.

გაზეთ „ცნობის ფურცლის“ 1898 წლის 504 ნომერში, სკოლის მმართველი ვლადიმერ იესეს ძე გაგუბა მადლობას უხდის ლევან ხუხიას, რომელსაც სკოლისთვის შეუწირავს ოქროსკარაფიან ჩარჩოში ჩასმული საბინის სურათი „დიდება საქართველოს ეკლესიისა“, „ასეთი შეწმინტულობა ფასდაუღებელი და ძვირფასი განძია ჩვენი სკოლისათვის“,—აღნიშნავს ავტორი.

ამავე გაზეთის 1898 წლის 557 ნომერში კი წერია „...მოგხვდა ღმერთმა და ორი წელიწადია, რაც მთავრობამ დაგვინშნა მასწავლებლად ვლადიმერ გაგუბა და მიხა ლაჭავა, ამ პატიოსანმა პირებმა სკოლა ფეხზე წამოაყენეს. სკოლა ახალი ყავრით გადახურეს და კედლები შეღებეს, ფანჯრები ჩასვეს, ეზო შემოაკავეს



და შიგ დარგეს მრავალგვარი ხეხილის მცენარეები. სკოლას დაუდგინეს ცალკე სამზარეულოც... ბატონ მიხა ლაჭავას ლობთარობით შედგა ამ სკოლაში რუსული გალობის ხორი, რომელიც სასიამოვნო მოსასმენია. დიდ მადლობას უძღვნის ჩვენი საზოგადოება ბატონ გაგუბას და ლაჭავას და საღმრთო რჯულის მასწავლებელს ნესტორ სასანიას, რადგან ესენი პირნათლად ასრულებენ თავიანთ მოვალეობას და დიდი ქების ღირსნიც არიან ასეთი სიკეთისათვის“. წერილის ავტორი სოლომონ იოსავაა.

გაზეთ „ივერიის“ 205 ნომერში გამოქვეყნებულია ხობის სკოლის მასწავლებლის ნოე მკურნალის წერილი, რომ ხობის სკოლაში ამ სკოლის გამგის ვ. გაგუბას თაოსნობით რუსეთის ფრინველების მომშენებელ საზოგადოების ქუთაისის განყოფილებას გაუმართავს კრება, რომელსაც 320 ადამიანი, მათ შორის იონა მეუნარგაიც დასწრება, კრებაზე ქუთაისის განყოფილების წარმომადგენელს ხობის სკოლის გამგის ვ. გაგუბასთან გადაუცია სიგელი, რომელიც სასწავლებელს მიუღია ბოსტნეულის წარმოდგენისათვის ქუთაისში გამართულ გამოფენაზე 1899 წელს.

„24 მარტს ხობის ნორმალურ სკოლაში მასწავლებლებისა, მოსწავლეებისა და დაბის მოვაჭრეების თანდასწრებით, მამა ნესტორ სასანიამ გადაიხდა ორმოცის პანაშვიდი დაუიწყარის პოეტის რაფიელ ერისთავის სულის მოსახსენებლად“, იუწყება ალექსანდრე კამახიძე 1901 წლის გაზეთ „ცნობის ფურცლის“ 1432 ნომერში.

ხობის I სკოლას ძალიან დიდი ისტორია აქვს, იგი საგაზეთო სტატიაში ვერ ჩაეტევა. გვინდა შევნიშნოთ, რომ XX საუკუნის 30-იან წლების დამდეგს იგი ათწლეულად გადაკეთდა, ამ სკოლაში მრავალი ჩვენი ქვეყნის ღირსეული ადამიანი დაუფულა მეცნიერებათა საფუძვლებს, მათ შორის ბევრი მეცნიერი, საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწე, ამ სკოლაში გმირებსაც უსწავლიათ: მათ შორის გამორჩეული ადგილი უკავიათ ზნეობრივ გმირებს—წმ. ცოტნე აღმსარებლის გზის გამგრძელებელს ჟიული შარტავას და ხობელთა ბოლოდროინდელ დიდ ტკივილს მარადჭაბუკად დარჩენილ მიხეილ (მიშკო) იოსავას...

გვინდა 136 წლის იუბილე მიუვლოცოთ ძველი და ახალი თაობის პედაგოგებს, მოსწავლეებს, კურსდამთავრებულებს. გვინდა აგრეთვე მივულოცოთ მათ დამდეგი შობა-ახალწელიწადი. მრავალი საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწე, მეცნიერი და გმირი გაეზარდოს ხობის I საჯარო სკოლას.

გობიტა ჩიტაია.



სობის მუნიციპალიტეტის ბერბის აღწერილობა



1. სობის მუნიციპალიტეტის გერბი წარმოადგენს პერალდი-კურ ფარს, რომელიც გაკვეთილია და იყოფა 2 ნაწილად. პირველ ნაწილს უჭირავს ფარის 2/3, ხოლო მეორე ნაწილს - ფარის 1/3. გერბის ფარის პირველი ნაწილი წარმოადგენს ვერცხლის ველს, რომლის ცენტრში მოთავსებულია ლურჯი მცირე ფარი. მცირე ფარის ლურჯ ველზე გამოხატულია წმინდა მარიამ ღვთისმშობლის ვერცხლის კვართი. გერბის ფარის მეორე ნაწილი წარმოადგენს ლურჯ ტალღოვან ველს, რომლის ზედა ნაწილი გადაკვეთილია ვერცხლის ორი ტალღოვანი სარტყელით.

2. გერბის ფარს ზემოთ მოთავსებულია საქალაქო ვერცხლის გვირგვინი - სამკოშვიანი ქონგურებიანი ვალავანი (ციხე-სიმაგრის ფორმის) ნახევრად ღია ჭიშკრით.

3. ფარს ქვემოთ მოთავსებულია დევიზის ვერცხლ-ლურჯი ბაფთა, რომლის ვერცხლის ველზე შავით ჩაწერილია გერბის დევიზი - „სობი“.

დამტკიცებულია სობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 20 დეკემბრის N17 დადგენილებით.

სობის მუნიციპალიტეტის დროშა სობის მუნიციპალიტეტის დროშის აღწერილობა

1. სობის მუნიციპალიტეტის დროშა წარმოადგენს მართკუთხედის ფორმის ქსოვილს, რომელიც ჰორიზონტალურად არის გაყოფილი ორ ნაწილად - თეთრ და ლურჯ ველებად. პირველ ნაწილს უჭირავს დროშის 2/3, მეორე ნაწილს - დროშის 1/3. დროშის პირველ ნაწილში თეთრ ველზე, ცენტრში, მოთავსებულია ლურჯი მცირე ფარი. მცირე ფარის ლურჯ ველზე გამოხატულია წმინდა მარიამ ღვთისმშობლის თეთრი კვართი. დროშის მეორე ნაწილი წარმოადგენს ლურჯ ველს.



2. დროშის პროპორცია: 2/3.

ვლადიმერ ქანთარია სობის საპატიო მოქალაქის წოდება მიენიჭა

სობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2010 წლის 20 დეკემბრის გადაწყვეტილების საფუძველზე, სობის მუნიციპალიტეტის ჯანმრთელობის დაცვის სფეროში გაწეული განსაკუთრებული ღვაწლისა და მუნიციპალიტეტის მოსახლეობისაგან დამსახურებული მადლიერებისთვის სობის საპატიო მოქალაქის წოდება მიენიჭა მკვლევარ-ეპიდემიოლოგს, საავადმყოფოს „ღირექტორის ვლადიმერ ქანთარიას. 2011 წლის 16 იანვარს სობის საპატიო მოქალაქის მოწმობა და საპატიო სიგელი ვლადიმერ ქანთარიას სახეიმო ვითარებაში გადასცა სობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ მამუკა ჭოხონელიძემ.

მიმდინარეობს ქ. სობის ცენტრალური ბიბლიოთეკის შენობის რეაბილიტაცია

გრძელდება ქალაქ სობის ცენტრალური ბიბლიოთეკის შენობის სახურავის სარემონტო სამუშაოები. სამუშაოები სრულდება ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით და მისი სახარჯთაღრიცხვო ღირებულება შეადგენს 5780 ლარს. სამუშაოების დასრულების ვადა განსაზღვრულია 2011 წლის 15 იანვრისთვის.

სობის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი ასევე ეტაპობრივად ახორციელებს მუნიციპალიტეტში არსებული კულტურის სახლებისა და კლუბების ინვენტარის განახლებას. ამ ეტაპისათვის, სოფელ საჯიჯაოს კულტურის სახლისთვის კულტურის ცენტრისთვის გამოყოფილი თანხით შექმნილიქნა პიანინო.

„ღმერთო, ღმერთო, შენ მიეხი, იხიარს სიმაღლით!“

ამღვრეული სონეტები...



ახალი წელი დღესასწაულთა დღესასწაულია, დღე-სასწაული. ახალი იმედებით, ოცნებებით და მომავლის რწმენით. ეს ის დღეა, როცა ოცნებას საზღვარი არა აქვს, როცა ყველა ტკივილი უკან იხევს და გზას სიხარულსა და სიკეთეს უთმობს...

ყველას, ასაკის მიუხედავად, აქვს იმის იმედი, რომ ახალი წელი უფრო ბედნიერი იქნება, ვიდრე წინა წელი იყო...

...ახალი წლის ღამე, როგორც მთელს საქართველოში, უჩვეულო იყო ჩვენი მუნიციპალიტეტისათვის. საითაც გაიხედავდი, ყველგან საზეიმო განწყობა იგრძნობოდა. ქალაქის ცენტრში დიდი ნაძვისხე ნაირფერადი სათამაშოებით ბრწყინავდა და კულტურის სახლის წინ დიდი კონცერტის მომლოდინე უამრავი ხალხი ელოდა ახალი წლის დადგომას. იყო უღამაზესი ფიერვერკი და ყველას ჰქონდა საშუალება, განათებული ზეცისთვის შეეხედა და საკუთარი ბედის ვარსკვლავი აღმოეჩინა.

...შემდეგ იყო საახალწლო მოლოცვები, შეხვედრები და კიდევ ერთი ღამაში დღის ჩატარების იდეა. მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტის, ძველთა დაცვის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ხელმძღვანელი, პროფესიონალი, რომელიც პრობლემებს არასოდეს იმარტყვებს, მრავალი ღამაში ღონისძიების ავტორი ქალბატონი **ჯულიეტა ქვარაია** და კულტურის ცენტრის დირექტორი, სობის კოლორიტი ბატონი **ბეჟან ნადარია** შემდეგ იტყვიან, რომ დიდი სურვილი ჰქონდათ რაღაც ახალი შეთავაზებინათ მაყურებლისათვის და ბედნიერები არიან, რომ 4 იანვარს კულტურის სახლში ჩატარებული საღამო, რომელსაც „მღერიან და ცეკვავენ საჯარო მოხელეები“ ერქვა, მართლაც ღამაში, უჩვეულო და განსაკუთრებული იყო.

რა თქმა უნდა, საღამო ვერ შედგებოდა, მუნიციპალიტეტის გამგეობის ბატონ **იგორ ტყეშელაშვილი** და მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის (ამ საღამოს ერთ-ერთი ორგანიზატორის) და აქტიური მონაწილის) ბატონ **მამუკა ჭოხონელიძის** მხარდაჭერა და თანადგომა რომ არ ყოფილიყო.

ერთობლივი „შრომით“ შედგა კონცერტი, რომელიც ბუნებრივია, განსაკუთრებული ინტერესით იყო გამორჩეული. კონცერტი ჩვეული ხიბლით მიჰყავდა ქ-ნ **ჯულიეტა ქვარაიას**, რომელმაც კარგად აიყოლია საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე „სცენას მიუჩვევლი“ **კახა ბუკია**. უნდა ითქვას, მათ „ღუეტი“ ჩინებულად გამოუვიდათ...

კულტურის სახლის სცენაზე ერთმანეთს სცვლიდნენ მუნიციპალიტეტის გამგეობის და საკრებულოს

თანამშრომლები, მათ ადვილად აიყოლიეს დარბაზი, რაც ნამდვილად სობის სინამდვილეში არცთუ ისე ადვილია...

მიუხედავად იმისა, რომ მეგონა ყველას კარგად ვიცნობდი, უნდა ვაღიარო, თუ ასეთი ღამეები და მუსიკალურები იყვნენ, ვერც წარმოვიდგენდი. უფრო მეტიც, კაბინეტებში საქმიანმა და შკაცრმა საჯარო მოხელეებმა გვიჩვენეს, რომ გართობაც არანაკლებ სცოდნით... საჯარო მოხელეებს მუნიციპალიტეტის ჯანმრთელობის დარგის, კომუნალური სამსახურის მუშაკები და უკვე ჩამოყალიბებული 13 წლის მომღერალი ნინო გოთოშია შეენაცვლნენ და სიმღერებითა და ცეკვებით, კლასიკური მუსიკით გაგვიღამაზეს სული...

ახალი წლის დადგომა ხობელებს კიდევ ერთხელ მიულოცა **მამუკა ჭოხონელიძემ**. ბოლოს ცდუნებას ვერ გაუძლო, მეგრული სიმღერა, მოხიბლულ მაყურებელთან ერთად შეასრულა.

რომ იტყვიან, ქუხდა დარბაზი, როცა სცენაზე საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატი ბატონი **გოდერძი ბუკია** ავიდა: „საყვარელო ხალხო, ჩემო ხობელებო, თქვა მან, გილოცავთ ახალ წელს. ბედნიერი ყოფილიყოს 2011 წელი თქვენთვის, თითოეული ხობელისათვის. მიხარია, რომ დღეს ასეთი განწყობაა, როცა



